საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *რევაზ ნადარაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

რევაზ ნადარაია

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის თავდაჭერილი და კორექტული. მოძიებული ინფორმაციისა და გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა პრინციპულობა და დამოუკიდებლობა. მას აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება და თავის ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენა არ ფიქსირდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა. კანდიდატს აქვს კარგი რეპუტაცია, რაც დასტურდება შესაბამისი რეკომენდაციებითა და კითხვარებით. კანდიდატი მიუკერძოებელია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატი კარგად იცნობს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს. ის ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის, ადამიანის

			უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კუთხით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს გააჩნია კარგი დასაბუთების უნარი და თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. მისი განაჩენები თუ გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს არგუმენტირებული და გამართული წერის უნარი. ნათლად და გასაგებად გადმოსცემს თავის პოზიციას. მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატი არის თავდაჭერილი და აქვს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები. პატივისცემით ეპყრობა თანამოსაუბრეს. საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური. მის წარმოებაში არსებულ საქმეთა უმეტეს შემთხვევაში კანდიდატს დაცული აქვს საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. ის არის კორექტული და შრომისმოყვარე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატს აქვს სიახლეებისა და ცოდნის გაღრმავების ინტერესი. ის სათანადო აქტიურობით იღებს მონაწილეობას არაერთ პროფესიულ შეხვედრაში.
პროფესიული აქტივობა	3	5	კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში. თუმცა, კანდიდატი არ არის დაკავებული პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობით, მას არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	**94**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ		

ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, რევაზ ნადარაიას შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
- *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
- *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
- *ფინანსური ვალდებულება.*

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**</u>

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ რევაზ ნადარაიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს ის ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, თუმცა, მიმდინარე ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებით უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ვადაგადაცილებისათვის. რევაზ ნადარაია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია არასამეწარმეო იურიდიული პირის „ნადარაიათა საგვარეულო კავშირის“ გამგეობის წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ 2017-2020 წლების განმავლობაში კანდიდატს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი არ დაჰკისრებია. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის ვალდებულებებს.

<u>**დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**</u>

რეკომენდატორებისა და გამოკითხული კოლეგების მიერ კანდიდატის დახასიათებების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის არის პრინციპული, მიუკერძოებელი. ამასთან, დახასიათების ანალიზისა და მასთან გასაუბრების შედეგად, მიმაჩნია, რომ

	კანდიდატს შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა და ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ რევაზ ნადარია არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააზრებული აქვს მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, რევაზ ნადარაიას მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა. ამასთან, არ დასტურდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. კანდიდატის ქცევა, იმიჯი, ასევე კოლეგებთან თუ მხარეებთან ურთიერთობა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მნიშვნელოვანია, რომ რევაზ ნადარაია სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ საკმაოდ დადებითად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, თავდაჯერებულობას, დამოუკიდებლობას, გაწონასწორებულობას, კორექტულობას, სიდინჯეს, მიზანდასახულობას, პუნქტუალურობას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას, პრინციპულობას, თავმდაბლობას, ტოლერანტობას, კოლეგიალურობას, ობიექტურობას, საკუთარი ემოციების მართვის უნარსა და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც მას ხელს შეუშლიდა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში.

ფინანსური ვალდებულება

იმის გათვალისწინებით, რომ რევაზ ნადარაია სათანადო პასუხისმგებლობით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ უნდა გამოირიცხოს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

სამართლის ნორმების ცოდნა

კანდიდატთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის კარგად იცნობს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, რაც მან გამოავლინა როგორც გასაუბრებაზე, ისე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ის ცდილობდა სათანადოდ გამოევლინა თავისი გამოცდილება და დაგროვებული ცოდნა შესაბამისი სამართლებრივი საკითხების

	განხილვისას. გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ეცნობა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროპული მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს დასკვნებს სასამართლოსთან დაკავშირებით. კარგია კანდიდატის ცოდნის დონე ადამიანის უფლებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სფეროში. საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვების განხილვისას კანდიდატმა სრულად ანდა დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 87%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი დასაბუთების უნარი და თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები/განაჩენები არის შესაბამისად დასაბუთებული. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის სტრუქტურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული და ფორმალურად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. კანდიდატს აქვს 18-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 11-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატის ნაშრომების გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ წერილობით თავის მოსაზრებებს ის აფიქსირებს ნათლად და გასაგებად. სასამართლო განაჩენში აზრის გადმოცემისას დაცულია ლოგიკური ჯაჭვი და თანმიმდევრულობა. რაც მნიშვნელოვანია, დოკუმენტები მკითხველთათვის მარტივად არის აღქმადი. კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, რა გამოვლინდა, როგორც განაჩენში, ისე გასაუბრების მიმდინარეობისას. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი, მის მიერ დაფიქსირებული

	მოსაზრებები არის გასაგები, თანმიმდევრულად ახსნილი. ამასთან, დასაბუთებული და დამაჯერებელი. კანდიდატს გააჩნია განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. თავის მოვალეობებს ის ასრულებს გულმოდგინედ. მის წარმოებაში არსებულ საქმეებს კანდიდატი ეკიდება პასუხისმგებლობით, ორგანიზებულად. მის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე მეტყველებს კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი (88,9%, 80%). კანდიდატის სამოსამართლო გამოცდილება მოიცავს სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილებასაც, რაც მიმაჩნია, რომ მიუთითებს კანდიდატის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატს აქვს სიახლეებისა და ცოდნის გაღრმავების ინტერესი. მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, ასევე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ არის დაკავებული პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობით, მას არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაციები. კანდიდატი 2017-2020 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2019 წლიდან კანდიდატი არის საპროკურორო საბჭოს წევრი.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.